ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1340077

ნომერი: AR1229742

თარიღი : 17.06.2014

გაცემის თარიღი : 21.06.2014

გაცნობის თარიღი : 24.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 56 (ყოფ. თამარაშვილის ქ. N13); ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 56 (ყოფ. თამარაშვილის ქ. N13);

დამკვეთი-განმცხადებელი
- იულია ზაალიშვილი პ/ნ 01001021930
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 41 ბ. 51

ორგანიზაცია:
- სს ნიკორა ტრეიდი კოდი: 206255808

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე სარეკლამო ლაითბოქსების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი –საბურთალო, სულხან ცინცაძის #56–ში (ყოფ. თამარაშვილის ქ. #13), შ.პ.ს „გეოქარს“–ს კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო ლაითბოქსების მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014156916 31/03/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.10.16.004.060.01.558; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014156898 01/04/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.10.16.004.060.01.553; შ.პ.ს „გეოქარს“–ის თანხმობა; შ.პ.ს „ნიკორა ტრეიდი“–ს მინდობილობა; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი –საბურთალო, სულხან ცინცაძის #56–ში (ყოფ. თამარაშვილის ქ. #13), შ.პ.ს „გეოქარს“–ს კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო ლაითბოქსების მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ სარეკლამო ლაითბოქსის ვიზუალის ყოველივე ცვლილებისას საჭიროა გაითვალისწინოთ, რომ არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე შესრულებული წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge